პროექტი

საქართველოს კანონი

„საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №45, 21.11.1997, გვ. 26) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. კანონის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ“

2. ამოღებულ იქნეს პრეამბულა.

3. პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა (შემდგომ – ეროვნული ბიბლიოთეკა) არის საქართველოს კულტურის სამინისტროს (შემდგომ - სამინისტრო) მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ეროვნული ბიბლიოთეკა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ექვემდებარება სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს. ეროვნულ ბიბლიოთეკაზე ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება.

2. ეროვნული ბიბლიოთეკა არის საქართველოს ძირითადი სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელშიც დაცულია საქართველოს ბეჭდვითი გამოცემები, სხვა სახელმწიფოების სამეცნიერო და უნივერსალური ხასიათის უმნიშვნელოვანესი ბეჭდვითი გამოცემები და სხვა დოკუმენტები, ეროვნული ბიბლიოგრაფიის, ინფორმაციის, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების, ბიბლიოთეკების მეთოდური საქმიანობისა და კულტურის ცენტრი, აგრეთვე ამ სამუშაოების კოორდინატორი საქართველოს კულტურის სამინისტროსთან ერთად.“.

4. მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. კანონის რეგულირების სფერო

ეს კანონი არეგულირებს ეროვნული ბიბლიოთეკის საქმიანობას, განსაზღვრავს ეროვნული ბიბლიოთეკის ადგილს საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემაში, მის ძირითად ფუნქციებსა და თავისებურებებს.“.

5. მე-4 მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. ეროვნული ბიბლიოთეკა საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემაში“;

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ეროვნული ბიბლიოთეკის სტრუქტურასა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს დებულება. ეროვნული ბიბლიოთეკის დებულებას, საშტატო ნუსხას და შრომის პირობებს ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს კულტურის მინისტრი (შემდგომ - მინისტრი).“.

6. მე-10 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.ეროვნული ბიბლიოთეკის საქმიანობას მართავს გენერალური დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.“;

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. გენერალური დირექტორი დებს ხელშეკრულებებს, მათ შორის, შრომით ხელშეკრულებებს, გასცემს მინდობილობებს, ხსნის ეროვნული ბიბლიოთეკის ანგარიშს ბანკში, განაგებს ეროვნული ბიბლიოთეკის სახსრებს, გამოსცემს ბრძანებებს და იძლევა მითითებებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა ეროვნული ბიბლიოთეკის ყველა მუშაკისათვის, აგრეთვე მინისტრის თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გენერალური დირექტორის მოადგილეს და ეროვნული ბიბლიოთეკის დეპარტამენტების დირექტორებს. “.

7. მე-11 მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 11. სამინისტროს გარანტია ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო მომსახურების უზრუნველსაყოფად“;

ბ) პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სამინისტრო არის ეროვნული ბიბლიოთეკის ფუნქციონირების და ამ კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის გარანტი, არ ერევა ბიბლიოთეკის პროფესიულ საქმიანობაში, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. სამინისტრო უზრუნველყოფს:

ა) ეროვნული ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაცვასა და ხელშეუხებლობას;

ბ) ეროვნული ბიბლიოთეკის საქმიანობის ხელშეწყობას მისი ფინანსური მხარდაჭერით, შესაბამისი საგადასახადო და საკრედიტო პოლიტიკის გატარებით;

გ) ეროვნული ბიბლიოთეკის კულტურულ ფასეულობათა შენარჩუნებას, გამდიდრებას, რეგისტრაციასა და მათი საგანგებო რეჟიმით დაცვის კონტროლს;

დ) დადგენილი ნუსხის მიხედვით ეროვნული ბიბლიოთეკისათვის ნაბეჭდი პროდუქციის უფასო სავალდებულო ეგზემპლარების გამოყოფას;

ე) ეროვნული ბიბლიოთეკისათვის ხელისუფლების ორგანოებისა და ნებისმიერი უწყების ყველა ნორმატიული აქტის მიწოდებას;

ვ) სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას კადრების მომზადებისა და გადამზადების, შრომის ანაზღაურების, სოციალური გარანტიებისა და შეღავათების საქმეში;

ზ) ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიის, წიგნთმცოდნეობისა და ინფორმაციის დარგში მეცნიერული და მეთოდური მოღვაწეობის ხელშეწყობას;

თ) ეროვნული ბიბლიოთეკის საერთაშორისო საბიბლიოთეკო ორგანიზაციებში გაწევრიანებას, უცხო სახელმწიფოების ბიბლიოთეკებთან თანამშრომლობას და საერთაშორისო საბიბლიოთეკო პროგრამებში მონაწილეობას.“.

მუხლი 2.

1. საქართველოს კულტურის მინისტრმა ამ კანონის პირველი მუხლის ამოქმედებამდე თანამდებობაზე დანიშნოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი.
2. შესაბამისმა ორგანოებმა და თანამდებობის პირებმა ამ კანონის პირველი მუხლის ამოქმედებიდან სამი თვის ვადაში უზრუნველყონ შესაბამისი სამართლებრივი აქტების ამ კანონთან შესაბამისობა, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო სამართლებრივი აქტების მიღება/გამოცემა.
3. საქართველოს კულტურის მინისტრმა ამ კანონის პირველი მუხლის ამოქმედებამდე, დაამტკიცოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის დებულება, საშტატო ნუსხა და განსაზღვროს მისი ქონების შექმნის წესი.

მუხლი 3.

1. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბაზაზე შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა.
2. თანამდებობიდან გათავისუფლდნენ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი, მისი მოადგილე და თანამშრომლები.
3. ამ პუნქტის ამოქმედების მომენტისთვის საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დასაქმებული პირები, მათივე თანხმობით, უკონკურსოდ იქნენ გადაყვანილი ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკაში იმავე თანამდებობებზე (შესაბამისი შრომის ანაზღაურებისა და სტატუსის შენარჩუნებით), აგრეთვე საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი და მისი მოადგილე, მათივე თანხმობით, უკონკურსოდ იქნენ გადაყვანილი საჯარო სამართლის იურიდიულ პირში - ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკაში იმავე თანამდებობებზე (შესაბამისი შრომის ანაზღაურებით), რომლებიც მათ ამ პუნქტის ამოქმედების მომენტისთვის ეკავათ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ამ პუნქტით გათვალისწინებული თანხმობის გამოხატვა უნდა მოხდეს წერილობითი ფორმით 2025 წლის 7 მარტამდე. თუ ამ პუნქტში მითითებული პირები დასახელებულ ვადაში არ წარადგენენ წერილობით თანხმობას, მათზე 2025 წლის 10 მარტიდან არ გავრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მობილობის წესი და საჯარო სამართლის იურიდიულ პირში –

ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკაში იმავე თანამდებობებზე უკონკურსოდ გადაყვანის დათქმა. ასეთ პირებს არ აქვთ მათი თანამდებობის ტოლფას თანამდებობაზე/მათი სამუშაო ადგილის ტოლფას სამუშაო ადგილზე აღდგენის მოთხოვნის უფლება.
4. ამ კანონის ამოქმედებამდე საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიღებული/გამოცემული სამართლებრივი აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიღებამდე/გამოცემამდე.

მუხლი 4.
1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა არის საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის უფლებამონაცვლე, მათ შორის, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისთვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამული კოდებით გათვალისწინებული სახსრების განკარგვის ნაწილში.
2. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბალანსზე რიცხული ქონება და მისი კუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური, ასევე სხვა შესაბამისი საინფორმაციო და კვლევითი რესურსები აღირიცხოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის ბალანსზე.
3. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ საკითხების თაობაზე დადებული ხელშეკრულებები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას.

მუხლი 5.
1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი, მე-3 მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტებისა და მე-4 მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ამ კანონის პირველი, მე-3 მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტები და მე-4 მუხლი ამოქმედდეს 2025 წლის 10 მარტიდან.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ ყაველაშვილი